ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6524022001
თარიღი:22/01/2024

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

16.01.2024 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ჩიკვაიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, თამარ შენგელია, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, ლიზა ტყეშელაშვილი.ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გიორგი ტყეშელაშვილი, გრიგოლ მატარაძე, მაკა ზარნაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე მალხაზი ცერცვაძე;

/დანართი: N1/

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **-**

ლუიზა ჯოგლიძე;

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის

მოადგილე იურიდიულ საკითხებში **- სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის იურისტი-**გელა კაშია.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14:^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: ***ივანე მამფორია***

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: ***გელა ჩიკვაიძე***

3.„ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის პირობების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ***გელა კაშია***

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2401 და N 2402 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ა) შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 18433,3 ათასი ლარით, გადასახდელები 20120,6 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1687.3 ათასი ლარით.

ბ) შემოსულობები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია 18433,3 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 5633,3 ათას ლარს.

გ) გადასახდელები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 20120,6 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 7320,6 ათას ლარს.

დ) გადასახდელები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 20120,6 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 7320,6 ათას ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი:

/დადგენილება: N1/

მოისმინეს:

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2023 წლის 28 დეკემბრის N65-65233624 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დეკემბრის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 (შვიდას ორმოცდაოთხი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულება: N გ-65. 6524016001

მოისმინეს:

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოდგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის პირობების დამტკიცების შესახებ;
მომხსენებელმა დადგენილების პროექტის მიხედვით წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სია, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეირჩა ისეთი მწვანე ნარგავები, რომლებიც ძირითადად იმერეთის მასშტაბით ხარობს და ადგილობრივი კლიმატი გათვალისიწნებით ადაპტაციის უნარი გააჩნია. საბოლოოო ჯამში ასეთი მწვანე ნარგავების 87 სახეობაა წარმოდგენილი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მიზანია:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ განსაზღვრული განაშენიანების დეტალური გეგმის ფარგლებში და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფარგლებში შესათანხმებელი გამწვანების პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა; აგრეთვე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების (რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი) დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა.

2. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებულ გამწვანების პროექტზე, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

მუხლი 2. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის ეტაპზე დასამუშავებელი გამწვანების ზოგადი პროექტი

1. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების ეტაპზე წარსადგენი გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად

მონაცემებს.

2. გამწვანების ზოგადი პროექტის შეთანხმების პირობები:

ა) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნეს მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.

ბ) გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს საპროექტო ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იქნეს გასამწვანებელი არეალები.

გ) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნეს პროექტის განხორციელებისთვის ხელის შემშლელი მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით, საპროექტო არეალში შემავალი თითოეული მიწის ნაკვეთისთვის ცალკ-ცალკე.

დ) მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციითა და პირობითი აღნიშვნებით დატანილ უნდა იქნეს საპროექტო ტოპოგრაფიულ გეგმაზე.

ე) პროექტის განხორციელებისთვის ხელის შემშლელი მოსაჭრელი, ჯანსაღი, ღირებული მწვანე ნარგავების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი ღირებული მწვანე ნარგავების 25 %-ს.

ვ) გამწვანების ზოგად პროექტში მითითებული უნდა იყოს დაგეგმილი ფუნქციური ზონის შესაბამისი გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი/ები შესაბამის საანგარიშო ფართობ(ებ)თან ერთად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით, „მწვანე ნარგავების სახეობების სია“ ვანის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულ იქნეს:

ა) განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა/დამტკიცებისას წარმოსადგენი გამწვანების პროექტის შეთანხმების ფარგლებში;

ბ) მშენებლობის ნებართვის გაცემისას წარმოსადგენი გამწვანების პროექტის შეთანხმების ფარგლებში;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ მწვანე ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობის ფარგლებში.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ-ალექსანდრე ლილუაშვილმა „უმჯობესი იქნება მწვანე ნარგავების ჩამონათვალს დაემატოს საკურა და ჩვეულებრივი კაკალი.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა-შალვა ლორთქიფანიძემ „აღნიშნა, რომ მწვანე ნარგავების ჩამონათვალს დაემატოს აგრეთვე კავკასიური ლაფანი“

აღნიშნული მოსაზრებებს დაეთანხმა საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობა და „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებს დაემატა 3 ნარგავი: საკურა, ჩვეულებრივი კაკალი და კავკასიური ლაფანი, რაც საბოლოო ჯამში 90 შეადგენს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის პირობების დამტკიცების შესახებ;

/დადგენილება: N2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი